ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მომდევნო ასპექტისათვის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან

ნანა შავთვალაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
nana_shavtvaladze@yahoo.com

DOI: https://doi.org/10.52340/lac.2022.959

ანბანის შესწავლის შემდეგ მნიშვნელოვანია მარტივი და ძნელად წარმოსათქმელი სიტყვებზე ვარჯიში; შემდეგ ნაწილობრივ მათ გამოყენებაზე ზრუნვა; პრაქტიკული გამოცდილება გვაძლევს უფლებას, შემოგთავაზოთ მეთოდური ჩარჩო, სტრატეგიები და ის თანმიმდევრული გეგმა, რომელსაც წარმატებით ვიყენებთ. მთავარი, საჭირო და კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი ფრაზების დაწყების სწავლაც უპირატესად მიგვაჩნია. გრამატიკული ფორმატიდან უმცირესსა და უმნიშვნელოვანეს ვირჩევთ, რომ კომუნიკაცია შედგეს. აქ იფარება პირის ნაცვალსახელები - „მე/შენ/ის“, მხოლობითი რიცხვი; ჩვენებითი ნაცვალსაცხელები - „ეს/ის“; მიგებითი ნაწილაკები - „დიახ/კი/ჰო!“, „არა“. „ყოფნა“ ზმნის მხოლოდ - „ვარ/ხარ/არის!“, მხოლობითი რიცხვი; უარყოფითი ფორმა - „არ არის/არაა!“კითხვითი სიტყვა - „ვინ?“; ფრაზები - „გამარჯობა!“/„ნახვამდის“/„ერთი წუთით“/„დიდი მადლობა“. ამ დაწყებითი ციკლის მესამე ნაწილს შემდეგ გაგაცნობთ.

ქართული ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია, დასაწყისშივე გამოვუმუშაოთ შემსწავლელებს ენის მიმართ ლოგიკური მიდგომა. ფაქტობრივად, მიდგომას არ ვცვლით და ვაგრძელებთ წინა სტატიაში გამოთქმულ ხედვას. რა თქმა უნდა, ვიყენებთ ოთხივე უნარს. ანბანისა და პირველი საკომუნიკაციო ფრაზების სწავლების შემდგომ ვიწყებთ მარტივი ფორმულებით სიტყვათაშორისი სხვაობის განსაზღვრას. ამას ვასრულებთ ფრთხილად, ეტაპობრივად და მიზნობრივად. ხშირად ბავშვებთან ძალიან შედეგიანია „ქაღალდის ბურთის“ სტრატეგია, რომელიც აძლევს პატარას საშუალებას იყოს აქტიური და უმალ ჩაერთოს სასწავლო პროცესში. ჩვენ გირჩევთ ამ სტრატეგიის გამოყენებას. როგორც ვიცით, სწორად გამოთქმა უპირატესია. ახალშემსწავლელის ნათქვამი უნდა იყოს გასაგები მსმენელისთვის და ამის შესახებ ადრეც ვისაუბრეთ. ენის სწავლებისას ხალისიანი გარემოს შექმნა უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით პატარებთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდ ყურადღებას ვაქცევთ სწავლების დაწყებით საფეხურზე ანბანის შესწავლისთანავე მარტივი, მსგავსი სიტყვების წარმოთქმასა და ზოგიერთის მნიშვნელობის შესწავლასაც.

ფონეტიკური პრობლემები ასე თუ ისე დაძლეულია ანბანის ეტაპობრივად გაცნობისას - ხმოვნების, ხაზზემოთა და ხაზქვემოთა დაწერილობის თანხმოვნების წარდგენით. მათი დამუშავება რედუპლიკაციის საშუალებითაა შესაძლებელი. შემდეგ ფორმებზე, რომლებსაც ძალიან აქტიურად ვიყენებთ, შემდეგ სამი სტრატეგიით ვააქტიურებთ თითოეულს. ანუ, ამ სახით სტრატეგიის პირველი ფაზაა: „ღა“, „ღე“, „ღი“, „ღო“, „ღუ“. რედუპლიკაციას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ის ეხმარება შემსწავლელს ფონეტიკური ჟღერადობის აღქმაში და ხელს უწყობს ნასწავლი ხმოვნების გამეორება-გააქტიურებას. სტრატეგიის მეორე ფაზა: „ღაღა“, „ღეღე“, „ღიღი“, „ღოღო“, „ღუღუ“.

იმისათვის, რომ რეალური უკუგება ჰქონდეთ პატარებს, ეს მარცვლები ცოცხლდება პატარა, მცირემარცვლიან სიტყვებში. აღქმისთვის დასახელებული სიტყვები ფიზიკურად, თვალსაჩინოდაა ნაჩვენები ან ცოცხლდება ფოტოებით, ან PP პრეზენტაციით. სტრატეგიის მესამე ფაზა: „ღამე“, „ღია“, „ღილი“, „ღობე“, „ღონე“, „ღომი“, „ღორი“ „დღე“, ,,ძაღლი“.

შემსწავლელის ვიზუალური სენსორის გამოყენება ხელს უწყობს ახალი მასალის აღქმას, რადგან ამას ემატება სმენით სენსორის საშუალებით გააქტიურებული. ლოგიკურია, რომ ერთი და იმავე ბგერად აღქმული აქვთ მსგავსი გამოთქმის რბილ და მაგარ თანხმოვნები. ესენია: თ-ტ; ქ-კ; ფ-პ; ც-წ; ჩ-ჭ. როგორც ვიცით, ეს მათთვის მსგავსი ბგერები იმავე სამი სტრატეგიით მუშავდება. მაგ.:ქ-კ; ფ-პ; ც-წ; ჩ-ჭ.

ანბანის მთლიანი სისტემის დამუშავების შემდეგ იწყება მსგავსი სიტყვების ერთად წარმოთქმა, ამოკითხვა, შედარება-შეპირისპირება, გარჩევა ხაზგასმა და თითოეული სიტყვის აღქმა. ასეთი მსგავსი სიტყვები სპეციალურად შერჩეულია და დალაგებულია შემდეგი მეთოდოლოგიური მიდგომით:

1. ორმარცვლიანი სიტყვები; განსხვავებულია პირველი თანხმოვანი. მაგ.: **თ**ბილი-**რ**ბილი; **ჭ**ირი-**ვ**ირი; **ჭ**ორი-**ქ**ორი; **ძ**ნელი - **ბ**ნელი; **ძ**ველი - **ს**ველი; **ქ**ართული - **ს**ართული...
2. ორმარცვლიანი სიტყვები; განსხვავებულია მეორე მარცვალი (თანხმოვანი). მაგ.: გე**მ**ი-გე**დ**ი; წვე**ნ**ი-წვე**რ**ი; ლე**ღ**ვი-ლე**კ**ვი; წვე**ნ**ი - წვე**რ**ი; ვი**რ**ი-ვი**ს**ი...
3. ორმარცვლიანი სიტყვები; განსხვავებულია პირველი ხმოვანი. მაგ.: კ**უ**ჭი - კ**ი**ჭი; ხ**ა**ჭო - ხ**ო**ჭო; ხ**ე**ლი - ხ**ი**ლი; ყ**ო**ჩაღი - ყ**ა**ჩაღი; თხ**ე**ლი - თხ**ი**ლი...
4. ორმარცვლიანი სიტყვები; ბოლო ხმოვანია განსხვავებული. მაგ.:ყველ**ი**-ყველ**ა**...
5. ორმარცვლიანი სიტყვები; ერთი თანხმოვნით მეტია დასაწყისშივე; ეს განსხვავებაა. მაგ.: **ტ**კბილი - კბილი; **ყ**ველი - ველი...
6. ოთხმარცვლიანი; ჩამატებულია ერთი თანხმოვანი ბოლოდან მეორე მარცვალში. მაგ.: მოხარული - მოხარ**შ**ული.

ამ პრაქტიკული მიდგომითა და სწავლების რამდენიმე სტრატეგიით ჩვენი მოსწავლეები, განსაკუთრებით პატარები, ახერხებენ ფონეტიკურად გამართულად წარმოთქვან ქართული ხმოვნები; აგრეთვე, ისინი თამაშით, ვიზუალური და

მხედველობითი სენსორების გამოყენებით აღიქვამენ სიტყვებში თანხმოვნებს შორის განსხვავებას.

პირველივე შეხვედრისას, რა თქმა უნდა, ანბანთან ერთად სწავლობენ, თუ როგორ უნდა მიესალმონ შემხვედრს. უჭირთ ერთიანად წარმოთქმა: **„გამარჯობა!“;** მათ უწევთ რამდენიმე ასპექტის ერთიანად და საკმაოდ სწრაფად გამოვლინება. ესენია: ბგერათა გაერთიანება, ხმოვანობის განსაზღვრა, მარცვლების აღქმა, მახვილის სწორად დასმა. ტაშის საშუალებით იყოფა მარცვლები და წარმოითქმის: „გა-მარ-ჯო-ბა!“. **„მარ“** მარცვალს წარმოთქმისას განსაკუთრებით მკვეთრად და გარკვევით ვასრულებთ. გრძელი და დიდი სიტყვა ძნელი და რთულად გადმოსაცემია დამწყებთათვის. ამიტომ მეტ დროსა ვუთმობთ და ყველა რამდენჯერმე იღებს მონაწილეობას. შემდეგი დამშვიდობების ფორმაა: „ნახვამდის!“ – „**ნა**-ხვამ-დის!“ ტაშით აქტიურდება და, განსაკუთრებულად, მახვილიანი პირველი მარცვალი.

ბავშვები სწავლობენ საკუთარი თავის გაცნობას, წარდგენას. მაგ.: „მე ნან**ა** ვარ!“

ჩვენებას იწყებს მასწავლებელი, ის აძლევს მაგალითს და ხმამაღლა იმეორებს თავის სახელს, ორჯერ. მარჯვენა ხელის მტევანს იდებს მკერდზე და ამბობს: „მე ნან**ა** ვარ!“ ამის შემდეგ იწყება მოსწავლეთა ჩართვა საათის ისრის მიმართულებით. ისინი იმეორებენ ამ ფრაზას და ხვდებიან, რომ ,,ნანა“ არ უნდა გაიმეორონ და უნდა ჩასვან თავიანთი სახელი. ამ თამაშში მონაწილეობას იღებს ყველა ბავშვი.

ჯგუფში როდესაც ყინული გამდნარია და ბავშვები წახალისებული არიან იმავე აქტივობას ვამატებთ ჩვენებით ნაცვალსახელს. მაგ.: მასწავლებელი საჩვენებელი თითით მიანიშნებს ერთ მოსწავლეზე „ეს?“; ბავშვი უპასუხებს: „მე დორ**ა** ვარ!“. ჩვენ ვცდილობთ აქტივობაში თავდაპირველად იმ ბავშვების ჩართვას, რომელთა სახელიც ხმოვანფუძიანია. მაგ.: „მე ევ**ა** ვარ“, ,,მე სევერინ**ი** ვარ“... შემდეგ გადავდივართ თანხმოვანფუძიან სახელებზე. მაგ.: მასწავლებელი მიმართავს: „ეს?“ ბავშვი უპასუხებს: ,, მე მარკ ვარ!“; აქ უკვე შემოდის სახელობითი ბრუნვის ნიშანი; ,,**ი**“ იწერება დაფაზე, მასწავლებელი დგება ბავშვის გვერდით და ამბობს: ,,მე მარკ**ი** ვარ!“ უკვე ჯგუფის ყველა წევრს შეუძლია წარადგინოს თავი და თქვას ვინ არის. აქვე მასწავლებელი უკვე ააქტიურებს ჩვენებით ნაცვალსახელებს: „**ეს/ის“.**

თავდაპირველად ქმედება იწყება ჯერ „ეს“ ნაცვალსახელის მაგალითით, რომელიც მეორე პირთან სიახლოვეს ადასტურებს; ბავშვებისთვის ასე ადვილია მიმართულებისა და ლოკაციის აღქმა. როდესაც ყველა ახლომდგომის პასუხი ამოიწურება და „ეს“ ნაცვალსახელი სრულად გააქტიურდება, შემდეგ გადავდივართ „ის“ ნაცვალსახელზე, რომელიც მესამე პირთან სიახლოვეს ადასტურებს და ნათელს ხდის შორს მყოფ მინიშნებას. „ეს?“ ახლოს მდგომ მოსწავლეზეა აქცენტი; ბავშვი უპასუხებს „მე დანი ვარ!“; „ის?“ – „მე ელენე ვარ“; „ეს/ის“ ნაცვალსახელს საკლასო სივრცეში ვიყენებთ და სპირალურად ვააქტიურებთ.

შემდეგ ემატება კითხვითი სიტყვა **„ვინ?“** – „**ეს** ვინ **არის**?“; „მე ნინო ვარ!“' „მე ნუცა ვარ!“; ისევ წრეზე ბრუნავს ფრაზები და მესამე წრეზე უკვე ბავშვებმაც იციან ერთმანეთის სახელი და ფრაზა დამახსოვრებული და შესწავლილიც აქვთ.

სტრატეგიას, ფაქტობრივად, არ ვცვლით, მაგრამ წინ მივიწევთ და ვაფართოებთ ლექსიკას, ვაღრმავებთ ცოდნას საფეხურ-საფეხურ. დასამუშავებელი მომდევნო

კითხვაა: „**ის** ვინ **არის**?“; „ის **არის** ნინო!“; „ის **არის** მარკი!“;„ის **არის** ნანა!“; „ის **არის** დანი!“; „ის **არის** გიორგი!“; „ის **არის** დორა!“

დაფაზე დაწერილია შემდეგი წინადადებები: „ის **არის** ნინო!“= „ის ნინო**ა**!“ აქ ნაჩვენები და წითლადაა აღნიშნული **„არის“** და დაბოლოება **„----+ა“**. პირველ რიგში, როდესაც „არის“ უკვე მოთელილი და გააქტიურებულია, შემდეგ უკვე მოკლე ვარიანტს ვაცნობთ, რომელიც სიხშირის მიხედვით უპირატესია. სახელს + ა = „მარკი+**ა**“ – „ეს ვინ **არის**? – „ეს **არის** მარკი!“= „ეს მარკი**ა**!“

მასწავლებელი იწყებს სტრატეგიას და ამბობს: ორივე ვარიანტს „ეს **არის** ნინო“ - „ეს ნინო**ა**!“; საათის ისრის მიმართულებით წრეზე სთხოვს შემდეგ ბავშვს გაიმეოროს წინადადება, მაგრამ მხოლოდ მოკლე ვერსიით: მასწ.: „ის **არის** მარკი!“; მოსწ.: „ის მარკი**ა**!“; ყველა წრეზე ასე ბოლომდე ასრულებს მსვლელობას და უპასუხებს მოკლე ფორმით: „ის ნანა**ა**!“; „ის დანი**ა**!“; „ის გიორგი**ა**!“; „ის დორა**ა**!“; „ის ჯასტინი**ა**!“; „ის დენისი**ა**!“; „ის ქელი**ა**!“...

ამ ეტაპისთვის მოსწავლეს შეუძლია თქვას თავისი სახელი; აგრეთვე:

- პირის ნაცვალსახელები: მე/ის
- ჩვენებითი ნაცვალსახელები: ეს/ის
- კითხვითი სიტყვა: ვინ?
- „ყოფნა“ ზმნა: პირველი და მესამე პირები: ვარ/არის/...+ა (არის ნანა/ნანაა)
- ყოველდღიური ფრაზები: გამარჯობა; ნახვამდის.

ჯგუფში ცოცხლად შეტანილი თემა და საკითხი მოსწავლეებისთვის შთამბეჭდავია. სწრაფად ერთვებიან თამაშში და ადვილად იღებენ საკითხის ცვლილების ტემპს. კვლავ ხალისით ეწყობა წრე, მეორდება ერთ წრეზე, ისმევა კითხვა: „ეს ვინ არის?“ პასუხის არჩევანი ბავშვებზე, მათ შეუძლიათ გასცენ სრული პასუხი: „ეს არის ლევანი!“ ან მოკლე პასუხი: „ეს ლევანია!“

გადავდივართ კითხვით სახეზე: „ეს ნანაა?“ **„დიახ!“**; „დიახ, ეს არის ნანა“; „დიახ, ეს ნანაა“. შემდეგ გადავდივართ სხვა მოსწავლეზე: „ეს ნუცაა?“ „დიახ, ეს ნუცაა!“ ბავშვებისთვის მაგალითით აშკარაა, რომ მასწავლებელს უპასუხებენ: „დიახ!“ ასეთი აქტივობისას ვიზუალურ სენსორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უფროს ადამიანთან უნდა იყოს გამოყენებული „დიახ“, თავაზიანი ფორმა რომ არის „დიახ“, ისინი ამას კონტექსტიდან ხვდებიან. მოგვიანებით მასწავლებელი ორ ბავშვს ერთმანეთის პირისპირ აყენებს, მიანიშნებს თითით ერთ-ერთ გოგონაზე და სვამს კითხვას: „ეს ნინოა?“ „**კი**, ეს ნინოა!“ ამჯერად პასუხსაც თავად სცემს. იმავე გოგონებთან ააქტიურებს იმავე შეკითხვას და ამჯერად მეორე გოგო სცემს პასუხს: „**კი,** ეს ნინოა!“ დადებითი პასუხის ორი მიგებითი ნაწილაკი ახსნილია, მაგრამ ბოლოს მაინც შემოგვაქვს **„ჰო“.** იმავე აქტივობით „კი“ ჩანაცვლდება „ჰო“ ნაწილაკით და ბავშვებისთვის გასაგებია, რომ ერთმანეთთან შესაძლებელია „კი“/„ჰო“ ნაწილაკთა გამოყენება.

„ის ლევანია?“ ოღონდ ამ კითხვით, საჩვენებელი თითით მივმართავთ გოგონაზე. უნდა იყოს პასუხი უარყოფითი. ორწამიან დუმილს მასწავლებელი არღვევს და ამბობს: „ის **არ არის** ლევანი, ის ელენე**ა**!“ შემდეგ სპირალურად აქტიურდება ასეთი კითხვები სხვა მოსწავლეებზე. მოგვიანებით კი შემოდის ახალი

ფორმა: „ის ლევანია?“ (მიმართვა იქნება იმავე გოგოზე) მასწავლებლის პასუხი: „ის **არაა** ლევანი, ის ელენეა!“

მომდევნო აქტივობას ვიწყებთ გამეორებით; იციან პირველი და მესამე პირის ნაცვალსახელები; ჩვენებითი ნაცვალსახელები; ერთი კითხვითი სიტყვა: „ის ვინ არის? – ის მარკია!“ „ეს ვინ არის? - ეს ჯასტინია!“ „მე ვინ ვარ? - ნანა **ხარ!“** მოსწავლის ბოლო პასუხი იქნება „ნანა **ხარ!“** ამ აქტივობას იწყებს და იმეორებს მასწავლებელი „მე ვინ ვარ?“ პასუხს კი თავად სცემს მოსწავლის ნაცვლად: **„შენ** ნანა **ხარ!“** ასე შემოდის მეორე პირის ნაცვალსახელი; ხდება პირთა გამეორება ხმამაღლა, ჩვენებით: „მე, შენ ის!“ შემდეგ ყურადღება მახვილდება „ყოფნა“ ზმნის მეორე პირზე, მხოლობითზე. მეორე პირი - **„ხარ“**. **„შენ ხარ** ნანა!“; **„შენ ხარ** ჯასტინი“; „**შენ ხარ** ნუცა“//„**შენ** ნანა **ხარ**!“; „**შენ** ჯასტინი **ხარ**!“ „ **შენ** ნუცა **ხარ**!“ აუცილებელია, პრაქტიკულად რამდენჯერმე

პირველ რიგში, ეს სპირალური მეთოდი გამოყენებულია ვერბალურად; შემდეგ წრიული თანმიმდევრობით იგივე გადმოიტანება დაფაზე წერილობით იმისთვის, რომ აღქმული იყოს მოსწავლეთა ვიზუალური სენსორის გამოყენებითაც. მოსწავლეებისთვის უკვე ცნობილია: „მე ვარ ნინო! შენ ხარ ქელი; ის არის დავითი!“

ამ ციკლის დასრულებისას მნიშვნელოვანია ფუნქციური სხვაობა აღიქვას მოსწავლემ უკვე ნაცნობი, ნასწავლი და გამოყენებული „ის“ ფორმატით. სახელი შეიძლება იყოს რამდენიმე ჯგუფში და, მაგალითად, საკლასო ოთახში კითხვაზე: „ვინ არის ჯონი?“ მასწავლებელი კვლავ აკონკრეტებს: „ის ჯონი!“

„ის ჯონი“ – „ის ჯონია!“ = „ის არის ჯონი!“

მახვილდება ყურადღება საპირისპირო მიდგომაზე: „**ეს** ჯონი - **ის** ჯონი!“ ხაზი ესმევა ლოკალურ მიდგომას, სივრცის აღქმასა და პირთან სიახლოვის განსაზღვრას.

დასრულებისას ფრთა ესხმება ორ ფრაზას: **„ერთი წუთით!“** და **„დიდი მადლობა“,** რომელთა გააქტიურება და ჯგუფში სახალისოდ შეტანა ქმედების, მიმიკისა და ჟესტიკულაციის საშუალებით ხერხდება.

ანბანის შესწავლის შემდეგ მნიშვნელოვანია მარტივი და ძნელად წარმოსათქმელი სიტყვებზე ვარჯიში; შემდეგ ნაწილობრივ მათ გამოყენებაზე ზრუნვა; პრაქტიკული გამოცდილება გვაძლევს უფლებას, შემოგთავაზოთ მეთოდური ჩარჩო, სტრატეგიები და ის თანმიმდევრული გეგმა, რომელსაც წარმატებით ვიყენებთ. მთავარი, საჭირო და კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი ფრაზების დაწყების სწავლაც უპირატესად მიგვაჩნია. გრამატიკული ფორმატიდან უმცირესსა და უმნიშვნელოვანეს ვირჩევთ, რომ კომუნიკაცია შედგეს. აქ იფარება პირის ნაცვალსახელები - „მე/შენ/ის“, მხოლობითი რიცხვი; ჩვენებითი ნაცვალსახელები - „ეს/ის“; მიგებითი ნაწილაკები - „დიახ/კი/ჰო!“, „არა“. „ყოფნა“ ზმნის მხოლოდ - „ვარ/ხარ/არის!“, მხოლობითი რიცხვი; უარყოფითი ფორმა - „არ არის/არაა!“კითხვითი სიტყვა - „ვინ?“; ფრაზები - „გამარჯობა!“/„ნახვამდის“/„ერთი წუთით“/„დიდი მადლობა“. ამ დაწყებითი ციკლის მესამე ნაწილს შემდეგ გაგაცნობთ.

ლიტერატურა:

გაჩეჩილაძე ო. გ. (1992): ქართული ენა. თსუ გამომცემლობა. თბილისი.

თალაკვაძე მ. დ. (1975): ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა. განათლება გამომცემლობა. თბილისი.

თემფლი ჩ. პროგრამა. კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისთვის. (2001): სტრატეგიები სხვადასხვა საგანში. ღია საზოგადოების ინსტიტუტი. ნიუ იორკი.

კვაჭაძე ლ. კ. (1981): ქართული ენა. განათლება გამომცემლობა. თბილისი.

შავთვალაძე ნ.გ. (2018): ბილიკი. ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის. სახელმძღვანელო I. ფორმა გამომცემლობა. თბილისი.

შავთვალაძე ნ.გ. (2021): ბილიკი. სამუშაო რვეული. დონე I. ფორმა გამომცემლობა. თბილისი.

შანიძე ა.გ. (1953): ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. თსუ გამომცემლობა. თბილისი.

Roskos K., Neuman S.R. (2914):Best Practices in Reading. A 21st Century Skill Update. The Reading Teacher, 67(7), 507-511. International Reading Association.

USAID, G-PRIED. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. (2015): კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები). თბილისი.

Nana Shavtvaladze

Georgian University

Next aspect of teaching Georgian as a Foreign Language – for the students of beginner level

Abstract

Having learnt the alphabet it`s way too important to practice simple, as well as complex words; Then taking care of their usage; Our practical experience gives us a possibility to offer a methodological framework, strategies and consistent plan, which we use with success. It`s our preference to start teaching the phrases, which are main, necessary and important for the communication. We choose the least and the most important aspects from the grammatical format, so that the communication can be structured. Here is the short list of what is covered in the basics: Singular forms of personal pronouns – “I/you/he”; Demonstrative pronouns – “This/That”; Responsive particles – “Yes/No”; Singular forms of the verb “To be” – “I am/You are/ He is”; Singular form with negation – “is not”; interrogative word – “Who?”; Phrases – “Hello!/ Good Bye!/ Just a moment!/Thank you!”; The third part of this introductory cycle will be introduced to you later.